++

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030175420694817

№ 01-226/ო **19 / ოქტომბერი / 2017 წ.**

,,საქართველოში იმუნიზაციის ექსპერტთა ეროვნული ტექნიკური საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 30 ივლისის N01-185/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „საქართველოში იმუნიზაციის ექსპერტთა ეროვნული ტექნიკური საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 30 ივლისის N01-185/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული N1 დანართის (საქართველოში იმუნიზაციის ექსპერტთა ეროვნული ტექნიკური საბჭოს შემადგენლობა):

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელთა ჯგუფი (შემდგომში - სახელმწიფო ...რუქტურების ჯგუფი):

ა) ~~ნინო ბერძენიშვილი~~ - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინ...ტრის მოადგილე;

ბ) მარინა დარახველიძე - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი;

გ) ეკატერინე ადამია - სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და პროგრამების სამმართველოს უფროსი;

დ) ამირან გამყრელიძე - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) გენერალური დირექტორი;

ე) ხათუნა ზახაშვილი ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსი;

ვ) ლია ჯაბიძე - ცენტრის იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი.“.

ბ) მე-3 პუნქტს „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) ნინო ხეცურიანი - აშშ დაავადებათა კონტროლის ცენტრის სამხრეთ კავკასიის ოფისის იმუნიზაციის მრჩეველი.“.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი



დავით სერგეენკო